უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 14

2017 წ. "14" 09

ქ.თბილისი

„სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 და „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	115	145	20
2	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	126	156	20
3	ფარმაცევტის თანაშემწე	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	90	120	20
4	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	105	135	20
5	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	მეოთხე	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	115	145	20
6	ფილამწყობი	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	ქართული	68	83	20

საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	სწავლების ენა
1	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	III	ქართული
2	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	IV	ქართული

3	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30	V	ქართული
4	მოცეკვავე	მოცეკვავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	III	ქართული
5	მზარეული	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45	II	ქართული

2. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 სექტემბრის №23 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	მეოთხე	მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 99; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 64.	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 129; სრულო ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის - 94.	ქართული	20

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 14 სექტემბრის №8 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თუთა ნარმანია